

მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო მომსახურება  
ზოგადი განათლების დონეზე

### კაველიძე თამარი

სამაგისტრო ნაშრომი წარგდენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის -  
ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის, - სპეციალური განათლების  
მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სპეციალური განათლების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ცირა ბარქაია



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2021

## მადლობა

მადლობა მინდა გადავუხადო ცირა ბარქაიას ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობისთვის. იგი აქტიურად იყო ჩართული არსებული ნაშრომის კვლევის პროცესში, მეხმარებოდა შესაბამისი რესპოდენტების, პირებისა და მასალების მოძიებაში. კვლევის ყველა ეტაპზე მეხმარებოდა შესაბამისი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრაში და მაძლევდა სწორ რჩევებსა და მითითებებს. კვლევის პროცესში ეტაპობრივად აკეთებდა ჩართვებს და ერთად განვიხილავდით მომდევნო ნაბიჯებსა და აქტივობებს, მან ჩემთან ერთად გაიარა ნაშრომის ყველა დეტალი და მუდმივად მზად იყო დახმარებისთვის. ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო რესპოდენტებს, რომლებმაც ამომწურავად გასცეს ჩემს კითხვებს პასუხი, სპეციალურ მასწავლებელს, პრაქტიკის კვლევაში მონაწილე მოსწავლეს და მის მშობლებს, რომლებიც დათანხმდნენ კვლევაში მონაწილეობას და ზედმიწევნით შეასრულეს კვლევით გათვალისწინებული რეკომენდაციები.

## განაცხადი

"როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორის მიერ აქამდე გამოსაქვეყნებლად გამზადებულ ან დასაცავად წარსადგენ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად"

31.01.2021

## აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიო მიისწრაფვის იმისკენ, რომ გლობალურ დონეზე ადამიანებისათვის, მაქსიმალურად იყოს დაცული მათი ფუნდამენტური უფლებები. ამის მისაღწევად კი საერთაშორისო ორგანიზაციები და ცალკეული სახელმწიფოების განათლების სისტემები თავიანთ დღის წესრიგში უმთავრეს მიზნად აყენებენ ყველა ადამიანისათვის განათლებაზე თანასწორი მისაწვდომობის ზრდას და თითოეული მოსწავლის ინკლუზიურობის მაქსიმალური დონის მიღწევას, მათი უნარებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

მსოფლიოში ინკლუზიური განათლების პრაქტიკა მეოცე საუკუნის ბოლოდან იწყება და მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა სახელმწიფომ საკმაოდ ინოვაციურ და ეფექტურ მეთოდებს მიაღწია, არასდროს ნელდება დიალოგი იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება გაკეთდეს უკეთესად და როგორ შეიძლება გაიზარდოს ინკლუზიურობის და თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განათლების და განვითარების ხელშეწყობის და ცხოვრების ხარისხი.

როდესაც ვსაუბრობთ ინკლუზიურობაზე და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებაზე, ცხადია, საინტერესოა რთული და მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილება, რაც საჭიროებს სპეციფიკურ პროფესიულ, ტექნიკურ, ფინანსურ, რესურსებს და მეთოდოლოგიებისა და საგანმანათლებლო სტრატეგიების ნაკრებს, რომელიც შესაძლოა მოითხოვდეს ინტერდისციპლინურ ჩართულობას. ეს განათლების სისტემაში ერთ-ერთი ის მიმართულებაა, რომელსაც სჭირდება სისტემური ხელშეწყობა, გაუმჯობესება და მეტი ძალისხმევის ჩადება.

დღეს ინკლუზიური განათლების მიმართულებით ახალი და გაუმჯობესებული მეთოდების გამოყენების საჭიროება გაორმაგებულია და მეტი გამოწვევების წინაშე დგას, რამდენადაც მსოფლიოში გავრცელებულმა ვირუსმა (COVID-19) გამოიწვია გლობალური მასშტაბით ცხოვრების ჩვეული რეჟიმის შეჩერება და ყველა სფეროს წინაშე დადგა მიდგომების და მეთოდების შეცვლის საჭიროება, რათა ჩვეული აქტივობები ერთმანეთთან

შეზღუდული კომუნიკაციის პირობებში, განსხვავებულ რეჟიმში გაგრძელდეს. ეს სირთულეები განსაკუთრებული სიმწვავით დგას სსსმმოსწავლეებთან, რომელთაც სჭირდებათ სწავლების განსხვავებული, ან ალტერნატიული მეთოდების გამოყენება.

აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში კვლევის ობიექტს წარმოადგენდნენ მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეები, კვლევის ფარგლებში მუშაობა წარიმართა იმის დასადგენად, თუ, როგორია საქართველოში ამ მოსწავლეებისათვის შეთავაზებული საგანმანათლებლო მომსახურებები, და როგორ მუშაობს ინკლუზიური განათლების სისტემა მათთვის, როგორც ჩვეულებრივ, პანდემიის გარეშე პერიოდში, ასევე უშუალოდ პანდემიის პირობებში.

კვლევის პირველი ნაწილი შეეხება ქართული ინკლუზიური განათლების სისტემას და მის პრაქტიკას განიხილავს ევროპის ორი ქვეყნის ნორვეგიისა და ესტონეთის პრაქტიკების გააზრებით, განხილვით. ის, თუ რატომ ამ ორი ქვეყნის მაგალითზე, აღწერილია ქვემოთ. ამ ორი ქვეყნის პრაქტიკების გააზრების შედეგად გამოყოფილი რეკომენდაციები კი მოცემულ კვლევის ფარგლებში გათვალისწინებულ იქნა პრაქტიკის კვლევის ნაწილში; რაც შესაძლოა გარკვეული წვლილი აღმოჩნდეს მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის ქართული განათლების სისტემის მიერ საგანმანათლებლო მომსახურებების დახვეწის საწყის ეტაპზე.

კვლევის მეორე ნაწილი წარმოადგენს პრაქტიკის კვლევის ანგარიშს, რომელიც განხორციელდა მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლესთან, რომლის ფარგლებში ამ კონკრეტული მოსწავლის საჭიროებების შესწავლის შედეგად განხორციელდა ინდივიდუალური რეკომენდაციების ჩამოყალიბება, მისთვის, მისი სპეციალური მასწავლებლისთვის და მისი მზრუნველი პირებისთვის შეთავაზება და რეკომენდაციის შედეგად მიღწევების აღწერა. (კვლევაში მონაწილეობას იღებდა 8 წლის ს.ჭ. რომელიც, დადის თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მე-3 კლასში, მისი დიაგნოზია, დაუნის სინდრომი თანდაყოლილი გულის მანკით და ინტელექტუალური განვითარების დარღვევა. კვლევაში კონფიდენციალურობიდან გამომდინარე მოსწავლის სახელი შეცვლილია)

კვლევის მიზანი იყო იმის გარკვევა, რას სთავაზობს ზოგადი განათლების სისტემა მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეს განათლებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით და რა როლი აქვს ამ მხრივ სპეციალურ მასწავლებელს?

კერძოდ,

- როგორია ქართული განათლების სისტემის ზოგადი პრაქტიკა მრავლობით დარღვევის მქონე მოსწავლეებთან მიმართებაში?
- როგორია სხვა ქვეყნების წარმატებული პრაქტიკა მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებთან მიმართებაში და რა რეკომენდაციების გათვალისწინებაა შესაძლებელი?
- როგორია მოცემული კვლევის ფარგლებში კონსოლიდირებული რეკომენდაციების შედეგად პრაქტიკის კვლევის ნაწილში კონკრეტული მოსწავლისათვის ჩამოყალიბებული რეკომენდაციები და რეკომენდაციის პრაქტიკული შედეგები?

**საკვანძო სიტყვები:** მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეთა განათლება, ინკლუზიური განათლება, დისტანციური სწავლება, სპეციალური მასწავლებელი.

## **Abstract**

The modern world aspires to ensure that, on a global scale, their fundamental rights are protected as much as possible. To achieve this, international organizations and the education systems of individual states have as their main goal to increase equal access to education for all people and to achieve the maximum level of inclusion of each student, taking into account their skills and abilities.

The practise of inclusive education in the world dates back to the end of the twentieth century, and although many countries have achieved fairly innovative and effective methods, there is never a slow debate on what can be done better and how to increase inclusion and promote education and development for every special needs student. Quality of life.

When we talk about inclusiveness and special educational needs, it is interesting to meet the educational needs of students with complex and multiple disorders, which requires specific professional, technical, financial, resources, and a set of methodologies and educational strategies that may require interdisciplinary involvement. This is one of the areas in the education system that needs systematic promotion, improvement and more effort.

Today, the need to use new and improved methods in inclusive education has doubled and is facing more challenges as the worldwide virus (COVID-19) has led to a global outbreak and the need to change approaches and methods in all areas to limit routine activities. Conditions, continue in a different mode. These difficulties are particularly acute for students who need to use different or alternative teaching methods.

The object of the study was students with multiple disorders, the study was conducted to determine what educational services are offered to these students in Georgia, and how the inclusive education system works for them, usually in a period without a pandemic, and directly in a pandemic.

The first part of the study deals with the Georgian inclusive education system and discusses its practice by understanding the practices of Norway and Estonia in two European countries. The example of these two countries is described below. The recommendations made as a result of understanding the practices of these two countries were taken into account in the practice research

part of this study; Which may contribute to the initial stage of refinement of educational services for students with multiple disorders by the Georgian education system.

The second part of the study is a practice research report conducted with a student with multiple disorders, in which the study of the needs of this particular student resulted in the development of individual recommendations, offers for him/her, his / her special teacher and his / her caregivers, and descriptions of achievements. (Participated in the study was 8-year-old S.C., who is in the 3rd grade of a public school in Tbilisi, diagnosed with Down Syndrome and congenital heart disease. The name of the student was changed due to confidentiality)

The study aimed to find out what the general education system offers to the student with multiple disorders to promote education and development and what is the role of the special education teacher in this regard?

In particular,

- What is the general practice of the Georgian education system concerning students with multiple disorders?
- What is the successful practise of other countries concerning students with multiple disorders and what recommendations can be considered?
- What are the recommendations formulated for the specific student in the practice research section as a result of the consolidated recommendations within the given study and the practical results of the recommendation?